ხელშეკრულება№ 171
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ ცაგერი 22 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცაგერის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი) **მუნიციპალიტეტის გამგებლის რევაზ ბენიძის სახით** და მეორეს მხრივ ი/მ **„ირაკლი ხაბულიანი "** (შემდგომში – მიმწოდებელი) **ირაკლი ხაბულიანის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (01 01; 01 02 02 03) **მეტყევეობისა და ხე-ტყის პროდუქტები** (კლასიფიკაციის კოდი-03400000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით** საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: **მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,გამგეობის და სამხედრო სამსახურისათვის სათბობი შეშის 40 მ³** (საკრებულო-16მ³ ,გამგეობა - 22მ³, სამხედრო სამსახური- 2მ³) **მიწოდება და დახერხვა საღუმელედ.**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **3700 (სამიათას შვიდასი)** ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს, დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს და სფეროში მოქმედ სტანდარტებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **20 (ოცი)** კალენდარული დღეში.

5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია. ქ. ცაგერი. **სოფლები: ქვ.ცაგერი, ჩხუტელი, ლასურიაში,წიფერჩი,ლუხვანო,აღვი,ჩქუმი,ზუბი,ოყურეში,ორბელი,ლაილაში,უსახელო,ალპანა, საირმე, ტვიში,ნაკურალეში,ღვირიში, სპათაგარო.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. ანაზღაურების ადგილია **ქალაქი ცაგერი.**

7.3. მიმწოდებელთან წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარის ფარგლებში.ხოლო დარჩენილი თანხა ანაზღაურდება შესაბამისი საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- გადაიხადოს მოსაკრებელი ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის (1მ³ - 3ლ. 120 ლარი); და სანებართვო ადგილობრივი რესურსების სააგენტოს მომსახურეობა (1მ³ - 3ლ. 120 ლარი.) საერთო ღირებულებით 240 ლარი.

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან ეტაპობრივად 20(ოცი) კალენდარულ დღეში.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.6. თუ საჯარიმო სანქციებმა შეადგინა სახელშეკრულებო ღირებულების 5% ,შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 13 თებერვლამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2.ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი–ჯიუ მურცხვალაძე; მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი–დავით ჩიქოვანი;საკრებულოს აპარატის უფროსი- გოჩა მეგრელი; სამხედრო სამსახურის უფროსი-გოჩა მურცხვალაძე, გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულში;**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ცაგერის მუნიციპალიტეტი	**ი.მ" ირაკლი ხაბულიანი"**
მისამართი	**მისამართი**
ქ. ცაგერი რუსთაველის ქ.№64	**ცაგერი. კოსტავას # 14**
	ტ: 598 99 29 74
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს. ,,ლიბერთი ბანკი"
ბ/კოდი: **TRESGE22**	**LBRTGE22**
სახაზ.კოდი 707017021	ა/ა № **GE35LB0112175851433001**
ს/კოდი: 242 574 460	ს/კოდი: **49001004093**

17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ცაგერის მუნიციპალიტეტის	ი.მ "ირაკლი ხაბულიანი"
გამგებელი რევაზ ბენიძე	ირაკლი ხაბულიანი

დანართი N1

N	ორგანიზაციის დასახელება	მიწოდების ადგილი	განზომილება	რაოდენობა
1	ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ.ცაგერი.რუსთაველის ქ.N 64	კუბ.მ	3
2	ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ქ.ცაგერი.რუსთაველის ქ.N 69	კუბ.მ	16
3	სამხედრო სამსახური	ქ.ცაგერი.რუსთაველის ქ.N 64	კუბ.მ	2
4	ქ.ცაგერის ადმინისტრაციული ერთეული	ქ.ცაგერი.რუსთაველის ქ.N 69	კუბ.მ	1
5	ქვ.ცაგერის ადმინისტრაციული ერთეული	ქვ.ცაგერი	კუბ.მ	1
6	ჩხუტელის ადმინისტრაციული ერთეული	ჩხუტელი	კუბ.მ	1
7	ლასურიაშის ადმინისტრაციული ერთეული	ლასურიაში	კუბ.მ	1
8	წიფერჩის ადმინისტრაციული ერთეული	წიფერჩი	კუბ.მ	1
9	ლუხვანოს ადმინისტრაციული ერთეული	ლუხვანო	კუბ.მ	1
10	აღვის ადმინისტრაციული ერთეული	აღვი	კუბ.მ	1
11	ჩქუმის ადმინისტრაციული ერთეული	ჩქუმი	კუბ.მ	1
12	ზუბის ადმინისტრაციული ერთეული	ზუბი	კუბ.მ	1
13	ოყურეშის ადმინისტრაციული ერთეული	ოყურეში	კუბ.მ	1
14	ორბელის ადმინისტრაციული ერთეული	ორბელი	კუბ.მ	1
15	ლაილაშის ადმინისტრაციული ერთეული	ლაილაში	კუბ.მ	1
16	უსახელოს ადმინისტრაციული ერთეული	უსახელო	კუბ.მ	1
17	ალპანის ადმინისტრაციული ერთეული	ალპანა	კუბ.მ	1
18	საირმის ადმინისტრაციული ერთეული	საირმე	კუბ.მ	1
19	ტვიშის ადმინისტრაციული ერთეული	ტვიში	კუბ.მ	1
20	ნაკურალეშის ადმინისტრაციული ერთეული	ნაკურალეში	კუბ.მ	1
21	ღვირიშის ადმინისტრაციული ერთეული	ღვირიში	კუბ.მ	1
22	სპათაგორის ადმინისტრაციული ერთეული	სპათაგორი	კუბ.მ	1
	ჯამი:			40

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

/რ.ბენიძე/

ი/მ "ირაკლი ხაბულიანი"

/ი.ხაბულიანი/